„ვამტკიცებ“
რექტორი, ირინე შოთაძე
20 დეკემბერი, 2023

პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია

1. **თსა-ს საერთაშორისო პორტფოლიო**

პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია (თსა, შემდგომში აკადემია) მუდმივად მიისწრაფვის ინტერნაციონალიზაციის ხარისხის გაძლიერების და ამ გზით საერთაშორისო ასპარეზზე თავის დამკვიდრებისკენ. ინტერნაციონალიზაცია თსა-სთვის წარმოადგენს სტრატეგიული ხედვის ერთ-ერთ ქვაკუთხედს, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა და შესამჩნევად გაძლიერდა 2018 წლიდან.

ამგვარ დამოკიდებულებას ინტერნაციონალიზაციის მიმართ მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მიმდინარე გლობალიზაციის პროცესები და ქვეყანაში მიმდინარე გეოპოლიტიკური ცვლილებები, რაც თავის მხრივ განსაკუთრებით აძლიერებს მოთხოვნას შრომის საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებზე გათვლილი კონკურენტუნარიანი კადრების მომზადების აუცილებლობას.

დღეისათვის თსა აქტიურადაა ჩართული სხვადასხვა საერთაშორისო ინიციატივაში და დასავლეთის უნივერსიტეტების მსგავსად, მათთან ურთიერთთანამშრომლობის გზით, მიისწრაფვის როგორც საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის და ღირსეული ადგილის დამკვიდრებისაკენ, ასევე კონკურენციაში ჩართვის და განათლების საერთაშორისო, უმაღლესი დონის მიღწევისაკენ.

ამჟამად თსა-ს საერთაშორისო აქტივობების პორტფოლიო წარმოდგენილია შემდეგი განხორციელებული აქტივობებით:

a. საერთაშორისო სტუდენტების მზარდი რაოდენობა და გაზრდილი წარმომადგენლობითი გეოგრაფიული არეალი;
b. გაზრდილი ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმებები ევროპის და აზიის 15 ქვეყნის 20ზე მეტ უნივერსიტეტთან, მათ შორის ანტვერპენის, სოფიას, ბერლინის, გრანადას, სანტიაგო-დე-კომპოსტელას, ალთინბაშის, კატანიას, მოლისეს, ვილნიუსის, კლაიპედას, რადბაუდის, ბიალისტოკის, ლოძის, ვარშავას, კოშიცეს და მასარიკის უნივერსიტეტებთან;
c. წარმატებით განხორციელებული ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროგრამები, მათ შორის როგორც აპლიკანტის და შემდგომში კოორდინატორის, ასევე კონსორციუმის აქტიური წევრის ამპლუაში;
d. თსა-ს მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა საერთაშორისო მოთხოვნებთან და საერთაშორისო აღიარების გაზრდილი ხარისხი სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) მოთხოვნების შესაბამისად გავლილი აკრედიტაციის გზით;
e. სტუდენტებისათვის სხვადასხვა ქვეყანაში მოკლევადიანი კლინიკური სტაჟირებების ორგანიზება მედიკოს სტუდენტთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციასთან (IFMSA) და მედიცინასა და ჯანდაცვის პროფესიებში გლობალური განათლების გაცვლით პროგრამასთან (GEMx) თანამშრომლობის გზით.

2. თსა-ს ინტერნაციონალიზაციის მიზანი

ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია წარმოადგენს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის (თსა) ხედვას საერთაშორისო უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის და ინტერნაციონალიზაციის პროცესების მიმართ, რომელიც ემყარება თსა-ს სტრატეგიული განვითარების გეგმას და ნათლადაა გაჟღერებული თსა-ს მისიასა და ხედვაში. წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, უზრუნველყოს აკადემიის სტრატეგიული მიზნებით განსაზღვრული ნიშნულების მიღწევა და თავის მხრივ ხელი შეუწყოს თსა-ში საერთაშორისო განათლების დონის დამკვიდრებას და ამ გზით ეროვნული და საერთაშორისო ჯანდაცვის მიმართულებით პროფესიონალების მომზადებას. ამასთან, ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია ითვალისწინებს საქართველოს განახლებული დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნებს სამედიცინო განათლების მიმართ და აქტუალურ საერთაშორისო ტენდენციებს.

ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის მიზანია, შექმნას და წარმართოს ინტერნაციონალიზაციის პროცესი სტრუქტურირებული და თანმიმდევრული სახით და თავის მხრივ ხელი შეუწყოს აკადემიის მისიის განხორციელებას.

თსა-ს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის მთავარი მიზნები შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად

- საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ხილვადობის გაზრდა და საერთაშორისო რეპუტაციის დამკვიდრება
- საერთაშორისო გარემოს შექმნა, საერთაშორისო სტუდენტების, პერსონალის და „სახლში ინტერნაციონალიზაციის“ (internationalisation at home) გზით;
- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების უზრუნველყოფა კურიკულუმის ინტერნაციონალიზაციის და ტრანს-კულტურული განათლების გზით
- კვლევის ინტერნაციონალიზაცია და ცოდნის გადაცემა
- საერთაშორისო გამოცდილების მიღების შესაძლებლობების შექმნა სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისათვის სხვადასხვა ხანგრძლივობის და ხასიათის საერთაშორისო მობილობის პროგრამების შეთავაზების გზით.

3. ინტერნაციონალიზაციის ამოცანები

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკით განსაზღვრული სტრატეგიული მიზნების განხორციელების მიზნით, თსა-ს დასახული აქვს შემდეგი ამოცანები:

3.1 - საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ხილვადობის გაზრდა და საერთაშორისო რეპუტაციის დამკვიდრება

თსა-სთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო ხილვადობის და ცნობადობის გაზრდა, რაც თავის მხრივ უნდა აისახოს მიზანმიმართულ ქმედებებში აკადემიის რეპუტაციის, მისი აქტივობების და ღირებულებების განმტკიცების მხრივ. გაზრდილი ცნობადობა გაზრდის ინტერესს პოტენციურ სტუდენტებს შორის, შექმნის საერთაშორისო მობილობების და კვლევითი თანამშრომლობების შესაძლებლობებს და გრძელვადიან პერსპექტივაში, განამტკიცებს აკადემიის პოზიციებს როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო სარეიტინგო სისტემებში. აკადემიის ხილვადობის გაძლიერება პირდაპირპროპორციულადაა დამოკიდებული გეოგრაფიული არეალის გაფართოებაზე, როგორც

პარტნიორული ურთიერთობების, ასევე სტუდენტთა წარმომადგენლობის მხრივ. შესაბამისად, ამ მიზნის მიღწევისათვის განსაზღვრულია შემდეგი ამოცანები:

3.1.1 - აქტიური და მიზანმიმართული პარტნიორული ქსელის განვითარება, არსებული მტკიცებულებებზე დამოკიდებული პარტნიორობების განმტკიცების და ახალი სტრატეგიული თანამშრომლობების შემუშავების გზით; რომლებიც გრძელვადიან პერსპექტივაში შექმნის კოლაბორაციის მეტ შესაძლებლობას და პოტენციურ პარტნიორობას, რომელიც ორმხრივად სასარგებლო იქნება როგორც თსა-სთვის, ასევე პარტნიორი დაწესებულებისათვის.

3.1.2 - შემომავალი და გამავალი ვიზიტების ორგანიზება, როგორც Erasmus+ შესაძლებლობების, ასევე მის მიღმა, რომლებიც მიმართული იქნება აკადემიის კონკრეტულ საჭიროებებზე და ხელს შეუწყობს ახალი მობილობის და კვლევითი შესაძლებლობების შექმნას, სტრატეგიული პარტნიორობების დამყარებას და როგორც პოტენციური სტუდენტების, ასევე საერთაშორისო პერსონალის და ახალგაზრდა მეცნიერების მოზიდვას.

3.1.3 - აკადემიის საზოგადოებრივი ურთიერთობების და როგორც ტრადიციული, ასევე ციფრული მარკეტინგის სერვისების განვითარება აკადემიის ძლიერი მხარეების წარმოჩენის, ცოდნის გადაცემის და გამოცდილების გაზიარების, ასევე აკადემიის მისიის, ღირებულებების და ხედვის ფართო საზოგადოებისათვის გაცნობის მიზნით;

3.1.4 - სამედიცინო განათლების უახლესი დასავლური სტანდარტების და რეკომენდაციების უწყვეტი და თანმიმდევრული დანერგვა აკადემიაში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესებში ინოვაციების გზით;

3.1.5 - მუდმივი კომუნიკაცია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან, დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან, სტუდენტთა მომზიდველ სააგენტოებთან, აკადემიის კურსდამთავრებულებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან;

3.2 - **საერთაშორისო გარემოს შექმნა, საერთაშორისო სტუდენტების, პერსონალის და „სახლში ინტერნაციონალიზაციის“ (internationalisation at home) გზით;**

თსა მიისწრაფვის საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვის გეოგრაფიული არეალის გაფართოების და ამგვარად აკადემიის ინტერნაციონალიზაციის ხარისხის გაზრდისაკენ, რაც თავის მხრივ გულისხმობს მიზნობრივად ყურადღების გამახვილებას სხვადასხვა ქვეყნის საგანმანათლებლო გამოფენებზე, საკონტაქტო სემინარებზე და მიზანმიმართულ აქტივობებს სხვადასხვა ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემების მიერ თსა-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების აღიარების მხრივ. ამ მიზნის მიღწევისათვის განსაზღვრულია შემდეგი ამოცანები:

3.2.1 - სხვადასხვა პრომოციული, მარკეტინგული თუ საინფორმაციო კამპანიების განხორციელება საერთაშორისო დონეზე; საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენებსა და მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობის გზით;

3.2.2 - საინფორმაციო მასალების მომზადება საერთაშორისო ბაზრის შესწავლის საფუძველზე;

3.2.3 - თსა-სთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან სამიზნე ქვეყნებში ოფიციალური აღიარების მიღება და სტუდენტთა ჩამოყვანის უფლების მოპოვება შესაბამისი რეგისტრაციისა და ავტორიზაციის პროცედურების გავლის გზით;

3.2.4 - აკადემიის კურსდამთავრებულთა აქტიური ხელშეწყობა აკადემიის მიმართ ცნობადობის გაზრდის მიზნით;

3.2.5 - აქტიური თანამშრომლობა თსა-სთვის პრიორიტეტულ სამიზნე ქვეყნებში არსებულ საქართველოს დიპლომატიურ კორპუსებთან და ამავე ქვეყნის წარმომადგენლობებთან საქართველოში.

3.2.6 - სტუდენტთა წარმომადგენლობითობის გამრავალფეროვნება როგორც დიპლომამდელი, ასევე დიპლომისშემდგომი საგანმანათლებლო პროგრამების და ერთობლივი სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამების და საერთაშორისო მოკლე კურსების თუ ტრენინგების შეთავაზების გზით;

3.2.7 - სტუდენტების სოციალური ადაპტაციის საკითხების მაღალ დონეზე მოგვარება და სწავლის პროცესისათვის საჭირო მაქსიმალური საყოფაცხოვრებო და კულტურული კომფორტის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის პირობების შექმნა;

3.2.8 - კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა კლუბების შექმნა მათი კონკრეტული ინტერესების მიხედვით, სათანადო ატრიბუტიკის შემუშავებით, კულტურული ღონისძიებების განხორციელებითა და ემპათიური გარემოს შექმნის გზით;

3.2.9 - სტუდენტებისათვის საერთაშორისო გამოცდილების მიღების შესაძლებლობების შექმნა არსებული სასწავლო, კვლევითი და პრაქტიკული აქტივობების გამრავალფეროვნების და განვითარების გზით. მათ შორის Erasmus+ სტიპენდიის, ბილატერალური შეთანხმების ფარგლებში სემესტრული მობილობის, მოკლევადიანი კლინიკური სტაჟირებების და სხვა საერთაშორისო მობილობების შესაძლებლობების სახით .

3.2.10 - პერსონალის წევრებისათვის კროს-კულტურული საკითხების მიმართ ცნობიერების ამაღლების მიზნით ტრენინგების განხორციელება, სასწავლო პროცესის უფრო ადვილად წარმართვის და სტუდენტებთან დიალოგის გამარტივების მიზნით;

3.3 - საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების უზრუნველყოფა კურიკულუმის ინტერნაციონალიზაციის და ტრანს-კულტურული განათლების გზით

სასწავლო პროგრამების მოდერნიზება და მათი მიახლოება დასავლურ სტანდარტებთან თუ ეროვნულ სამიზნე ნიშნულებთან აკადემიის ერთ-ერთ უმთავრეს სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს. საგანმანათლებლო პროგრამებში ინოვაციების დანერგვის და ამგვარად მათი გაუმჯობესების მიზნით, 2021 წლიდან თსა-ში ჩამოყალიბდა სამედიცინო განათლების ინოვაციების ცენტრი (CIMED), რომელსაც ხელმძღვანელობენ ანტვერპენის (ბელგია) და გრონინგენის (ნიდერლანდები) უნივერსიტეტების პროფესორები სამედიცინო განათლების მიმართულებით. ცენტრის მიზანია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით, თსა-ს საგანმანათლებლო პროგრამების განახლების პროცესში ინოვაციური სტრატეგიების დანერგვა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს აკადემიის კურსდამთავრებულების მიმზიდველობის გაზრდას როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზარზე. აღნიშნული პროცესების გაძლიერების და აკადემიის მიზნების მიღწევისათვის განსაზღვრულია შემდეგი ამოცანები:

3.3.1 – არსებული პროგრამების შეფასება და გაუმჯობესება ინოვაციების და საუკეთესო პრაქტიკების დანერგვის გზით CIMED-ის, უცხოელი სპეციალისტების და პარტნიორი უნივერსიტეტების ჩართულობით;

3.3.2 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის წახალისების და პროფესიული განვითარების უზრუნველყოფა საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობების შექმნის გზით და ფაკულტეტის განვითარების დეპარტამენტის აქტიური ჩართულობით, მობილობის შედეგების აქტიურად გაზიარების საშუალებით.

3.3.3 - აკადემიის სტუდენტებისათვის ენობრივი კომპეტენციის გაუმჯობესების ხელშეწყობა და შესაბამისი შესაძლებლობების შექმნა-განხორციელება;

3.3.4 - აკადემიის უცხოელი სტუდენტებისათვის ქართული ენის დაუფლების ხელშეწყობა მათი აკადემიის ინსტიტუციურ კულტურაში და სამედიცინო გარემოში უკეთ ინტეგრაციის უზრუნველყოფის მიზნით;

3.3.5 - სხვადასხვა შესაძლებლობების ფარგლებში (მობილობა, სამეცნიერო-პრაქტიკული ღონისძიება) მიღებული საერთაშორისო გამოცდილების და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება ტრენინგების, სამუშაო შეხვედრების, ლექციების და სხვა შესაბამისი ინსტრუმენტების საშუალებით.

3.4 - კვლევის ინტერნაციონალიზაცია და ცოდნის გადაცემა

დღეისათვის თანამედროვე განათლება წარმოუდგენელია ძლიერი, ინტერდისციპლინური და რეგიონული კვლევითი კომპონენტის გარეშე. თანამედროვე საზოგადოების წინაშე არსებული არაერთი ახალი თუ უკვე ნაცნობი გამოწვევა განსაკუთრებით ნათლად ხდის მულტიდისციპლინური და გლობალური მიდგომის საჭიროებას. შესაბამისად, კვლევითი კომპონენტის გაძლიერება საერთაშორისო თანამშრომლობების და სტრატეგიული პარტნიორობების გზით აკადემიის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს. შეიძლება თამამად ითქვას, რომ 2018 წლის შემდეგ თსა-მ უდიდესი ნაბიჯები გადადგა კვლევისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის და განვითარებისათვის, რამაც თავის მხრივ გზა გაუხსნა ახალ შესაძლებლობებს და სამომავლო პერსპექტივებს. თსა-ს კვლევის ინტერნაციონალიზაციის მიზანია საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის გაძლიერების და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში პოზიციონირების ხელშეწყობა. ამ მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია:

3.4.1 -პარტნიორობის განვითარება: საერთაშორისო უნივერსიტეტებთან, კვლევით დაწესებულებებთან, ინდუსტრიასთან და დონორებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა, რაც მოიცავს შეთანხმებების და მემორანდუმების გაფორმებას, ასევე თსა-ს კვლევითი ინიციატივებისთვის პარტნიორების მოძიებას. ამ თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო კვლევით ინფრასტრუქტურაზე (ლაბორატორიები, ცენტრები, ტექნოლოგიური პლატფორმები და ა.შ.) წვდომის უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

3.4.2 - მობილობა და გაცვლითი პროგრამები: პერსონალისთვის, სტუდენტებისთვის და კურსდამთავრებულებისთვის კვლევითი სტაჟირებების ხელშემწყობი პროგრამების მოძიება და განვითარება.

ტექნოლოგიური ტრანსფერი: საერთაშორისო კვლევით პროექტებში მონაცემთა მართვისა და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების საკითხების რეგულირების ხელშეწყობა.

3.4.3 - შეფასება და მონიტორინგი: კვლევის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით განხორციელებული აქტივობების ეფექტურობის შესაფასებლად მექანიზმების ჩამოყალიბება, მათ შორის საერთაშორისო თანამშრომლობის შეფასება თსა-ს საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში პოზიციონირების ხელშეწყობის თვალსაზრისით.

3.4.4 - მდგრადობა და უწყვეტი გაუმჯობესება: კვლევის მიმართულებით საერთაშორისო თანამშრომლობის მდგრადობის უზრუნველყოფა და გაუმჯობესება მიმდინარე და განხორციელებული აქტივობების რეგულარული მიმოხილვის და განსახორციელებელი ღონისძიებების დროულად დაგეგმვის გზით. ამდენად, თსა-ს კვლევის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა გულისხმობს როგორც საერთაშორისო კვლევითი შესაძლებლობების გაძლიერებას, ასევე ინსტიტუციის მესამე მისიის განხორციელების ხელშეწყობას.

4. დასკვნა

სამედიცინო განათლების ხარისხისა და ბიოსამედიცინო კვლევების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების მთავარი გზაა. სწორედ ამ მიზნებს ემსახურება თბილისის სამედიცინო აკადემიის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომლის წარმატებით შესრულების მნიშვნელოვანი წინაპირობაა საუნივერსიტეტო განათლების საერთაშორისო ნორმებთან ჰარმონიზაცია და უცხოელი პარტნიორების წრის გაფართოებისა და დივერსიფიცირების მუდმივი პროცესი.

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელება თბილისის სამედიცინო აკადემიის მიერ საგანმანათლებლო ბაზარზე დამკვიდრებულ ღირსეულ პოზიციას და უცხოელ პარტნიორებთან მოპოვებულ დამსახურებულ ავტორიტეტს კიდევ უფრო გაამყარებს და საერთაშორისო ასპარეზზე მიღწეული ახალი წარმატებების გარანტიას შექმნის.